პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც. კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 242 (9402) | პარასკევი, 10 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის რეზოლუცია

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად)

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში დამტკიცდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ყრილობის დღიური

8 ოქტომბრის დილის სხდომა

8 ოქტომბერს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა მუშაობას განაგრძობდა. ყრილობის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **ანდრიანოვის** თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო წინადადებისათვის სიტყვას აძლევს ამხ. **არისტოვს.** ამხ. არისტოვს შეაქვს წინადადება: **საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში დამტკიცდეს.** ყრილობა ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო რეზოლუციის მიღების შემდეგ ყრილობა იწყებს დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას: **„პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ".** მოხსენებას აკეთებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ზ. **საბუროვი.**

ამხ. საბუროვმა მოხსენების დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განაგრძობს წინანდელი სტალინური ხუთწლედების ხაზს — საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიანი განვითარების, სოციალისტური მეურნეობისა და ხალხის კეთილდღეობის სისტემატური ზრდის ხაზს. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზაზე.

წინანდელი, მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელ დონეს, ამბობს მომხსენებელი, დიდად გადავაჭარბეთ. მისი წარმატებით შესრულება საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, ხალხის კულტურული დონის ამაღლებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მომხსენებელი ახასიათებს ახალი ხუთწლედის ძირითად მაჩვენებლებს. მოხსენებაში მოყვანილი მრავალი ციფრი გამოხატავს საბჭოთა ხალხის სულ უფრო სწრაფ სვლას კომუნიზმისაკენ.

ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია გადიდდეს ხუთი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოება, დაახლოებით, 70 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ 1955 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია ერთისამად გადააჭარბებს ომამდელ დონეს. მრეწველობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი განსაზღვრულია, დაახლოებით, 12 პროცენტით.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობა გაიზრდება არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც. სავსებით მექანიზებულ იქნება შრომატევადი სამუშაოები, ფართო მასშტაბით დაინერგება წარმოების ავტომატიზაცია; გაძლიერდება სახალხო მეურნეობის ენერგოაღჭურვილობა. ამაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ვოლგაზე კომუნიზმის ერთ-ერთი დიადი მშენებლობის — კუიბიშევის ჰესის, აგრეთვე სხვა დიდი ელექტროსადგურების აგების დამთავრება.

ასევე გრანდიოზული პერსპექტივებია გადაშლილი სოფლის მეურნეობის წინაშე. სულ უფრო იმატებს მისი მექანიზაცია, ამაღლდება მიწათმოქმედების კულტურა, გადიდდება მოსავალი. ჩვენს ქვეყანაში გაშენდება ხუთი მილიონი ჰექტარი ახალი მინდორსაცავი ტყე, მოეწყობა 35 ათასი გუბურა და წყალსატევი, 30-35 პროცენტით გადიდდება სარწყავი მიწების ფართობი.

კიდევ უფრო ძლიერ განვითარდება რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, საავტომობილო ტრანსპორტი, აგრეთვე კავშირგაბმულობა.

სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე მნიშვნელოვნად ამაღლდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი ხუთწლედის მანძილზე სულ ცოტა 60 პროცენტით გადიდდება.

დასახულია კაპიტალური მშენებლობის მოცულობა მეოთხე ხუთწლედთან შედარებით გადიდდეს დაახლოებით 90 პროცენტით.

ამხ. საბუროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალ ხუთწლიან გეგმაში მკაფიოდ არის გამოხატული სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნები: უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და გაუმჯობესების გზით უზრუნველყოფილ იქნას მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ, განიხილეს რა ხუთწლედის შესახებ დირექტივების პროექტი, პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი შენიშვნა და დამატება შეიტანეს. ყველა ეს შენიშვნა და დამატება გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი განვითარებისათვის ზრუნვით. ამ დოკუმენტს უდიდესი აღმავლობით შეხვდა საბჭოთა ხალხი, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, რომლებიც მასში ხედავენ თავიანთ მომავალს და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცების მძლავრ ფაქტორს.

ამხ. საბუროვი მოხსენებას ამთავრებს სიტყვებით, რომლებსაც ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება:

— საბჭოთა ადამიანები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა უზრუნველყონ ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის გარშემო, თავისი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ყრილობა გადადის ამხ. საბუროვის მოხსენების განხილვაზე.

პირველი გამოდის ამხ. **არისტოვი** (ჩელიაბინსკი). იგი ამბობს თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის XIX ყრილობას საბჭოთა ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის. ყრილობა გააათკეცებს ჩვენი პარტიის ძალებს, კიდევ უფრო აამაღლებს სსრ კავშირის ავტორიტეტს მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში.

საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარების ტემპი, რომელიც დასახულია ახალი ხუთწლიანი გეგმით, აღნიშნავს ორატორი, მაღალი ტემპია, მაგრამ იგი უეჭველად რეალურია.

XVIII ყრილობის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე ჩელიაბინსკის ოლქის მრეწველობის მთავარი დარგი — შავი მეტალურგია — გაიზარდა და ახლა უფრო მეტ ლითონს იძლევა, ვიდრე მთელი მეფის რუსეთი იძლეოდა.

ამხ. არისტოვს წინადადება შეაქვს გათვალისწინებულ იქნას მაღაროების უფრო სწრაფი მშენებლობა და ათვისება, იგი აღნიშნავს სამრეწველო საწარმოთა დაპროექტების ჩამორჩენას, იმას, რომ საჭიროა ოლქში გაფართოვდეს მეცნიერების კავშირი წარმოებასთან და გადიდდეს სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა.

ომისშემდგომ წლებში, ამბობს ორატორი, ურალი გახდა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უდიდესი ბაზა, კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის ლითონის, მანქანების, მოწყობილობის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი. საბჭოთა ურალის ძალას წარმოადგენენ მისი ადამიანები, უსაზღვროდ ერთგულნი სამშობლოსადმი, მშობლიური პარტიისადმი, აღმოსავლეთში ქვანახშირმეტალურგიის მეორე ბაზის შემქმნელის—დიდი სტალინისადმი.

სიტყვა ეძლევა ნავთის მრეწველობის მინისტრს ამხ. **ბაიბაკოვს.** იგი ლაპარაკობს, თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ნავთისა და ნავთგადამამუშავებელ მრეწველობაში XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე. მიღებულ იქნა ღონისძიებანი ნავთის მრეწველობის რაც შეიძლება მალე აღდგენისათვის გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან დაზარალებულ რაიონებში და ნავთის ამოღების ფართოდ განვითარებისათვის ახალ რაიონებში. ვოლგასა და ურალს შუა, ამხანაგ სტალინის მითითებებით, შეიქმნა ნავთის ბაზა — მეორე ბაქო. არსებითი ცვლილებანი მოხდა ჩვენი ქვეყნის ნავთის სხვა რაიონებშიც.

ნავთობის გამოკვლეული სამრეწველო მარაგის მხრივ საბჭოთა კავშირს ახლა ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში, რაც საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ მუშაობის ტემპი და ვადამდე შევასრულოთ ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ ნავთობის ყოველწლიური ამოღება აყვანილ იქნას 60 მილიონ ტონამდე.

განსაკუთრებით დიდი და საპატიო ამოცანებია დასახული ნავთის მუშაკთა წინაშე ყრილობის დირექტივების პროექტით. გათვალისწინებულია ნავთობის ამოღება გადიდდეს 85 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, ამბობს ამხ. ბაიბაკოვი, რომ ნავთის მუშაკებმა უნდა შეასრულონ უდიდესი მოცულობის და მნიშვნელობის სამუშაოები.

ამხ. ბაიბაკოვს მიზანშეწონილად მიაჩნია ყრილობის დირექტივებში აისახოს, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში კიდევ უფრო გადიდდეს ნავთობის ამოღება, მკვეთრად გადიდდეს საძიებო სამუშაოთა მოცულობა, ფართოდ დაინერგოს ნავთობის ბურღობათა დამუშავების ახალი მეთოდები.

დილის სხდომის დასასრულს ყრილობას მიესალმნენ უცხოეთის მთელი რიგი კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები. ყრილობის დელეგატები სტუმრებს შეხვდნენ მქუხარე ტაშით, მათი სახით მიესალმნენ იმ ქვეყნების მშრომელებს, რომლების წარმომადგენლნიც ისინი არიან. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწეთა გამოსვლები გადაიქცა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მეგობრობისა და სოლიდარობის მკაფიო დემონსტრაციად.

ტრიბუნაზეა ჩინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. ლიუ შაო-ცი, რომელსაც ყრილობა გულთბილად შეხვდა. მან ყრილობის დელეგატებს გადასცა ჩინეთის კომუნისტებისა და მთელი დიდი ჩინელი ხალხის ძმური სალამი და ტაშის გრიალში წაიკითხა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ამხანაგ სტალინისა და ყრილობის დელეგატებისადმი. მისალმებას ხელს აწერს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.

ამ მისალმებაში ლაპარაკია ლენინისა და სტალინის მიერ გამოწრთობილი საკავშირო კომუნისტური პარტიის შთამაგონებელ და მაორგანიზებელ როლზე, კომუნისტურ მოძრაობაში მის გრანდიოზულ წვლილზე. ლენინისა და სტალინის სახელი არის დროშა, რომელსაც წინ მიჰყავს მთელი მსოფლიოს მშრომელები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მაგალითია ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიისათვის. სსრ კავშირი მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრი ბურჯია.

ამხ. ლიუ შაო-ცი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მარქსიზმ—ლენინიზმს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხების მძლავრ მეგობრობასა და კავშირს. ყრილობის დელეგატები მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამ სიტყვებს.

სიტყვას ამბობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხ. კლემენტ გოტვალდი, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად ხვდებიან. იგი თავისი სიტყვის დასაწყისში ყრილობას მიესალმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით. იგი ამბობს, რომ ცნობამ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ და ისტორიული საყრილობო დოკუმენტების გამოქვეყნებამ არაჩვეულებრივი ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩეხოსლოვაკიაში. ჩეხოსლოვაკიის ქალაქისა და სოფლის ასეულ ათასობით მშრომელმა ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა და წარმატებით ასრულებს მათ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები, თქვა ამხ. გოტვალდმა, ბრძოლასა და გამარჯვებას ყოველთვის სწავლობდნენ და სწავლობენ ბოლშევიკებისაგან. ამხანაგ სტალინის ახალი ფუნდამენტალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისათვის გამოცდილების ლაუშრეტელი წყარო იქნება სოციალისტური წყობილების აშენებისა და განმტკიცებისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ამხ. გოტვალდმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის მთელი ხალხის უდიდესი და გულწრფელი მადლობა გადასცა საბჭოთა კავშირის მშრომელებს, საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ) და პირადად ამხანაგ სტალინს იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რასაც ჩეხოსლოვაკიის ხალხს უწევენ. ყრილობის დელეგატებმა ხანგრძლივი ტაშით რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა ამხ. გოტვალდს.

სიტყვა ეძლევა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილეს ლუიჯი ლონგოს, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ ტოლიატის დავალებით იგი ყრილობის დელეგატებს, ბოლშევიკურ პარტიას და მის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს გადასცემს ძმურ სალამს და მილოცვას იტალიის 2,5 მილიონი კომუნისტისა და კომკავშირელის, აგრეთვე მუშების, გლეხების, მშრომელებისა და დემოკრატების სახელით.

ჩვენ, ამბობს ლუიჯი ლონგო, თქვენი ყრილობის სახით და ამხანაგ სტალინის სახით მივესალმებით ევროპისა და მთელი მსოფლიოს მხსნელებს ფაშისტური უღლისაგან, ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლებს, რომლებიც კაცობრიობას უჩვენებენ განთავისუფლებისა და აღმავლობის გზას, მივესალმებით ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის დამცველებს.

ლ. ლონგო ამბობს, რომ კომუნიზმის დიადი გამარჯვებანი ახარებენ იტალიელ მშრომელებს და ბრძოლისათვის აღაფრთოვანებენ მათ. ეს გამარჯვებანი ხელს უწყობენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას და ხალხთა შორის ძმური კავშირის განმტკიცებას. ამხ. ლუიჯი ლონგოს არა ერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ხანგრძლივი ტაშით.

ამით დამთავრდა დილის სხდომა. (საკდესი).

• • •

ყრილობას სტუმრად ესწრებიან 44 მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის დელეგაციები:

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა: ამხანაგები ბ. ბერუტი, ფ. მაზური, ე ოხაბი;

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა: ამხანაგები კ. გოტვალდი, ა. ზაპოტოცკი, ვ. შიროკი;

ჩინეთის კომპარტიისა: ამხანაგები ლიუ შაო-ცი, ჟაო სუ-ში, ჩენ ი, ვან ძია-სიანი, ლიუ ჩან-შენი, ლი ფუ-ჩუნი;

საფრანგეთის კომპარტიისა: ამხანაგები მ. ტორეზი, ო. ლეკერი, რ. გიუიო, ჟ. ვერმერში, ჟ. კონიო, რ. გაროდი;

იტალიის კომპარტიისა: ამხანაგები ლ. ლონგო, რ. გრიეკო, რ. მონტანიანა, პ. ინგრაო, ე. ბონაცი, პ. რობოტი;

უნგრეთის მშრომელთა პარტიისა: ამხანაგები მ. რაკოში, ე. გერე, ი. ხიდაში;

რუმინეთის მუშათა პარტიისა: ამხანაგები გ. გეორგიუ-დეჟი, ი. კიშინიოვსკი, ა. მოგიოროში;

ბულგარეთის კომპარტიისა: ამხანაგები ვ. ჩერვენკოვი, გ. ჩანკოვი, ტ. ჟივკოვი, ს. დილბოკოვი, პ. პაპაზოვი;

ალბანეთის შრომის პარტიისა: ამხანაგები ე. ხოჯა, რ. მარკო, ფ. პაჩრამი;

ესპანეთის კომპარტიისა: ამხანაგები დ. იბარური, ს. კარილიო, ვ. ურიბე;

დიდი ბრიტანეთის კომპარტიისა: ამხანაგები ჰ. პოლიტი, ჯ. გოლანი;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა: ამხანაგები ვ. პიკი, ო. გროტევოლი, ვ. ულბრიხტი, ე. შმიდტი, ე. ჰონეკერი, ე. ვირტი, ე. გროსმანი;

კორეის შრომის პარტიისა: ამხანაგები პაკ დენ აი, პაკ ენ ბინი, პია ჩერი, კიმ ირი, პაკ კიმ ჩერი;

ფინეთის კომპარტიისა: ამხანაგები ვ. პესი, ა. აალტონენი, ი. ლეხტინენი, მ. რიუემია, ა. ხაუტალა;

გერმანიის კომპარტიისა: ამხანაგები მ. რაიმანი, ფ. ჰაიტნერი, გ. ფინკი, ხ. ცელნერი;

ავსტრიის კომპარტიისა: ამხანაგები ი. კოპლენიგი, ფ. ფიურნბერგი, ფ. ჰაიდერი;

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა: ამხანაგები დ. დამბა, ზ. დაგვა;

ინდოეთის კომპარტიისა: ამხ. ა. კ. გოპალანი;

შვეციის კომპარტიისა: ამხანაგები ხ. ჰაგბერგი, ე. კარლსონი;

ნორვეგიის კომპარტიისა: ამხანაგები ე. ლევლიენი, ი. სტრანდ-იოჰანსენი;

დანიის კომპარტიისა: ამხანაგები ა. ლარსენი, ა. ენსენი;

ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა: ამხანაგები ბ. ბიარნასონი, ა. სიგურსონი, ხ. იაკობსონი;

ჰოლანდიის კომპარტიისა: ამხანაგები გ. ვაგენაარი, პ. დე გროოტი;

ბელგიის კომპარტიისა: ამხანაგები ე. ლალმანი, ჟ. გლინერი, ე. ბონსელე;

საბერძნეთის კომპარტიისა: ამხანაგები ნ. ზახარიადისი, ვ. ბარძოტასი;

ლუქსემბურგის კომპარტიისა: ამხ. დ. ურბანი;

ავსტრალიის კომპარტიისა: ამხ. ლ. შარკი;

არგენტინის კომპარტიისა: ამხ. ვ. კოდოვილია;

კანადის მუშათა პროგრესული პარტიისა: ამხ. მ. ლესლი;

ისრაელის კომპარტიისა: ამხანაგები ს. მიკუნისი, ტ. ტუბი;

თურქეთის კომპარტიისა: ამხანაგები მ. ბილენი, ა. ერენი;

ურუგვაის კომპარტიისა: ამხ. რ. არისმენდი;

კუბის სახალხო-სოციალისტური (კომუნისტური) პარტიისა ამხანაგები ბ. როკა, ა. ესკალანტე;

ირანის სახალხო პარტიისა: ამხანაგები რ. რადმანეში, ე. ტაბარი, მ. ბოგრატი, ა. კოსემი, გ. ხ. ფრუტანი;

ვენესუელის კომპარტიისა: ამხ. ფ. ბოლანოსი;

შვეიცარიის შრომის პარტიისა: ამხანაგები ე. ვოოგი, ჟ. ვენსანი, მ. ბოდენმანი;

მექსიკის კომპარტიისა: ამხანაგები დ. ენსინა, მ ტერასასი;

სირიისა და ლიბანის კომპარტიისა: ამხ. ხ. ბაგდაში;

ჩილის კომპარტიისა: ამხ. ლ. ვერგარა;

ალჟირის კომუნისტური პარტიისა: ამხანაგები ლ. ბუხალი, რ. დალი-ბეი;

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის კომპარტიისა: ამხ. ვ. ტომინეცი;

ბრაზილიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორი წარმომადგენელი;

ინდონეზიის კომპარტიის წარმომადგენლები და სხვ.

კამათი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ლ. პ. ბერიას სიტყვა

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამხ. მალენკოვმა გააკეთა, შეჯამებულია XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე ჩვენი პარტიის მოღვაწეობის შედეგები. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ პერიოდის მანძილზე განსაკუთრებულ ადგილი უკავია ორ მოვლენას, რომლებზეც მინდა შევჩერდე.

პირველი მათგანი არის დიდი სამამულო ომი.

ამ ომში წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედის და ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა და ხალხთა ბედის საკითხი. ყველასათვის ცხადია, ჰიტლერულ კოალიციას რომ გაემარჯვა, ეს გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის ხალხებისა და მრავალი სხვა ქვეყნის ხალხების საშინელ დამონებასა და გაჟლეტას. ასეულ მილიონობით ადამიანი მონის მდგომარეობაში ჩავარდებოდა. ფაშისტი ბარბაროსები მოსპობდნენ თანამედროვე ცივილიზაციას და ბევრი ათეული წლით უკან დასწევდნენ მთელ კაცობრიობას.

და თუ ეს არ მოხდა, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სრული გამარჯვება მოიპოვეს. სსრ კავშირზე ვერაგული თავდასხმის უეცრობამ ომის პირველ ეტაპზე შექმნა ჰიტლერული ჯარებისათვის ხელსაყრელი პირობები. მაგრამ საბჭოთა კავშირმა უდიდესი მსხვერპლის ფასად, ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების უდიდესი დაძაბვის ფასად დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა, სასტიკად დაამარცხა მტერი, რომელიც შიშის ზარს სცემდა ევროპის არმიებს, და იხსნა კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია.

საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხანაგი სტალინი. **(ხანგრძლივი ტაში).** ომის პირველი დღეებიდან, როცა ჩვენი სამშობლო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს და შეიარაღებულ ძალებს. ჩვენი ბრძენი და უშიშარი ბელადი უდიდესი მამაცობით გაუძღვა საბჭოთა არმიას და მთელ საბჭოთა ხალხს ბრძოლების ქარცეცხლში, ომის სიძნელეებსა და განსაცდელში მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. დიდი ბედნიერებაა ჩვენი პარტიისათვის, სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის, რომ ამ მძიმე პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოს და მის არმიას სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და ძლიერება უძლეველია.

ასეთია დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი. მაგრამ ისტორიის გაკვეთილები ყველამ ვერ გამოიყენა. ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც გასუქდნენ ორი მსოფლიო ომის შედეგად და თავბრუდახვეული არიან თავიანთი მსოფლიო ბატონობის დამყარების გიჟური იდეით, კვლავ ცდილობენ ხალხები გადაჩეხონ მსოფლიო ომის უფსკრულში.

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მესვეურები—მორგანები, როკფელერები, მელონები, დიუპონები და სხვები, რომელთა ხელშია ამერიკის სახელმწიფო და სამხედრო მანქანის ბერკეტები, გამალებით ქმნიან ახალ მსოფლიო მონოპოლიებს, როგორიც არის ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, მსოფლიო ნავთის კარტელი, რათა უფრო სწრაფად ჩაიგდონ ხელში სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკა და დაუმორჩილონ იგი თავიანთ ინტერესებს. მათ სურთ თავიანთი განუყოფელი ბატონობა დაამყარონ მსოფლიოს ყველა ნაწილში, რათა სხვა ქვეყნების ხალხების გაძარცვისა და დამონების გზით უზრუნველყონ თავიანთთვის ზემოგების მიღება. ამისათვის მათ სჭირდებათ ომი. ომის მომზადების მიზნით ამერიკის მსხვილი კაპიტალი ამერიკის სამხედრო ხროვასთან ერთად კისრულობს ფაშისტური რეჟიმის ყველა ფუნქციას, რათა თავის ქვეყანაში ჩაახშოს ხალხის მისწრაფება მშვიდობის შენარჩუნებისადმი, ჩაახშოს ყოველგვარი ოპოზიცია, რომელიც კი მიმართულია მათი ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. უბიძგებენ რა თავიანთ ქვეყანას ომისაკენ, ისინი ამასთან ვარაუდობენ, რომ გამალებული შეიარაღება და ომის სიტუაცია თავიდან აიცდენს მათ ეკონომიკურ კრიზისს. მაგრამ ეს კრიზისი გარდუვალად უახლოვდება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას და ფინანსური მესვეურები ვერავითარი ხრიკითა და ავანტიურით ვერ მოახერხებენ მის თავიდან აცილებას. იწევიან რა გამალებულ შეიარაღებას, შეუგუეს რა მთელი თავიანთი ეკონომიკა ომის მომზადების მიზნებს, მათ მშვიდობისა უფრო ეშინიათ, ვიდრე ომისა, თუმცა სრულიად უეჭველია რომ ომის გაჩაღებით ისინი მხოლოდ დააჩქარებენ თავიანთ კრახსა და თავიანთ დაღუპვას. **(ტაში).**

მთელი მსოფლიო მოფინეს რა სამხედრო ბაზების ქსელით, გაძლიერებით აკოწიწებენ რა ყოველგვარ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს, ისინი გამალებით ამზადებენ ომს სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ისინი განუწყვეტლივ გზავნიან ჩვენს ქვეყანაში და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებში ჯაშუშებსა და დივერსანტებს, რომლებსაც აგროვებენ მთელ მსოფლიოში კაცობრიობის გახრწნილი ნაძირალებისაგან. საბჭოთა ადამიანების სიფხიზლე უბასრესი იარაღია მტრის ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლაში და ეჭვი არ არის, რომ სიფხიზლის გაძლიერებითა და გამახვილებით საბჭოთა ხალხი შეძლებს გააუვნებლოს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა აგენტურა, რამდენიც უნდა გზავნონ და როგორც უნდა შენიღბონ იგი. **(ტაში).**

ამერიკის სამხედრო ხროვის დემონსტრაციულ-თავხედური პროვოკაციები და ავანტიურები სსრ კავშირის მიმართ, როგორიცაა სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების მრავალრიცხოვანი მანევრები, ატლანტიკის ბლოკის სამხედრო მესვეურთა „საინსპექციო" მოგზაურობანი საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე რაიონებში, ამერიკის სამხედრო ავიაციის აქტივობა სსრ კავშირის დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებთან, — ყოველივე ეს, როგორც ჩანს, განკუთვნილია იმისათვის, რომ დაარღვიონ საბჭოთა ადამიანების სიმშვიდე და გაალვივონ ომის ფსიქოზი თავიანთ ქვეყანაში და თავიანთი ვასალების ქვეყნებში.

მხოლოდ მთლად სულელებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ პროვოკაციებით შეიძლება დააშინონ საბჭოთა ადამიანები. **(ხანგრძლივი ტაში).** საბჭოთა ადამიანებმა იციან, თუ რა ფასი აქვს ომის გამჩაღებელთა ყოველგვარ პროვოკაციასა და მუქარას. საბჭოთა ხალხი ურყევი სიმშვიდით განაგრძობს თავის შემოქმედებით მშვიდობიან შრომას. იგი დარწმუნებულია თავისი სახელმწიფოს და თავისი არმიის ძალასა და ძლიერებაში, არმიისა, რომელსაც უნარი შესწევს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს იმას, ვინც გაბედავს ჩვენს სამშობლოზე თავდასხმას, და სამუდამოდ დაუკარგოს საბჭოთა კავშირის საზღვრების ხელყოფის ხალისი. **(მქუხარე ტაში).**

პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მეორე უდიდესი მოვლენაა სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი მრეწველობის დონე აგვემაღლებინა ომამდელ დროსთან შედარებით 2,3-ჯერ და დიდი ნაბიჯი გადაგვედგა სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ჰიტლერული ფაშიზმის მიერ ჩვენთვის თავსმოხვეულმა ომმა, ყველაზე სასტიკმა და მძიმე ომმა ყველა ომიდან, რომელიც კი ოდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს, შეწყვიტა ჩვენი მშვიდობიანი განვითარება. ჰიტლერელმა მტარვალებმა, რომლებიც მათ მიერ ოკუპირებულ რაიონებში ახორციელებდნენ „გადამწვარი მიწის" ბარბაროსულ ტაქტიკას, მძიმე ჭრილობები მიაყენეს საბჭოთა სახალხო მეურნეობას.

ასეთ პირობებში, ომის დამთავრების შემდეგ ჩვენს წინაშე დადგა ურთულესი ამოცანა—მოგვეგვარებინა ცხოვრება გერმანელთა ოკუპაციისაგან დაზარალებულ რაიონებში, აღგვედგინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადაგვეჭარბებინა ამ დონისათვის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით.

ამ მძიმე პერიოდში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სახალხო მეურნეობის აღდგენის გაშლილი პროგრამა და დაგვისახა მისი განხორციელების გზები. ამხანაგი სტალინი მისთვის ჩვეული შეუდრეკელი ნებისყოფითა და ენერგიით უშუალოდ ხელმძღვანელობდა პარტიისა და სახელმწიფოს მთელ მუშაობას ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის დასარაზმავად. როგორც ცნობილია, ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა. **(ტაში).**

ამჟამად ჩვენი ქვეყნის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

კამათი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ლ. პ. ბერიას სიტყვა

(გაგრძელება)

ვითარდებიან უაღრესად მოწინავე ტექნიკის ბაზაზე და უმაგალითო მასშტაბით უზრუნველყოფენ მთელი საზოგადოებრივი წარმოების გადიდებას.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი სამრეწველო წარმოების მასშტაბი, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დამზადებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობას თუ შევადარებთ პირველი და მეორე ხუთწლედების ყველა წლის მანძილზე დამზადებულ სამრეწველო პროდუქციას, გამოვა, რომ 1951 და 1952 წლებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 22 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე ორივე ხუთწლედში ერთად. **(ტაში).** მარტო 1952 წელს ისეთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქცია, როგორიცაა ელექტროენერგია, შავი ლითონები, ქვანახშირი, ნავთობპროდუქტები, ცემენტი და ფართო მოხმარების საგნები, დამზადდება გაცილებით მეტი, ვიდრე მთელ პირველ ხუთწლედში.

რაც შეეხება მანქანათმშენებლობას, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის საფუძველს წარმოადგენს, იგი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება. მარტო მიმდინარე წელს გაცილებით მეტი მანქანა და მოწყობილობა მზადდება, ვიდრე პირველ და მეორე ხუთწლედში ერთად.

სოციალისტური წარმოების ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ, წლითიწლობით, იზრდება და უმჯობესდება მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად, აგრეთვე თავისი თავდაცვის უნარიანობით საბჭოთა კავშირი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე, და უფრო მეტად შეუძლია გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს, ვიდრე ოდესმე. **(ხანგრძლივი ტაში).**

თუ მტერი გაბედავს ჩვენთან ომს, მაშინ საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს, შეძლებს გამანადგურებელი პასუხი გასცეს აგრესიულ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყოველგვარ დაჯგუფებას, შეძლებს გაანადგუროს და დასაჯოს გათავხედებული აგრესორები და ომის გამჩაღებლები. **(ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხის მიერ როგორც ომში, ისე მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეულ გამარჯვებათა მოპოვების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა იყო ჩვენი პარტიის ბრძნული და შორსმჭვრეტელი ეროვნული პოლიტიკა. საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოში ცხოვრობს და შრომობს 60-ზე მეტი ერი, ეროვნული ჯგუფი და ეროვნება. ამ პირობებში სწორი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი საერთო საქმის — სსრ კავშირის ძლიერების განმტკიცებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებისათვის.

ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკა ემყარება ეროვნული საკითხის, როგორც პროლეტარული რევოლუციის შესახებ ლენინური მოძღვრების ნაწილის, მწყობრ მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიას. ეროვნულ საკითხში კომუნისტური პარტიის პროგრამისა და პოლიტიკის შემოქმედნი არიან ლენინი და სტალინი. სწორედ ამიტომ უწოდებენ ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას ლენინურ—სტალინურს. ჩვენი პარტიის ეროვნულ პოლიტიკას მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის ხალხები.

ლენინი და სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის საქმეს. დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგი სტალინი წარმართავდა პარტიის მთელ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური თანამშრომლობის მოსაწყობად, რესპუბლიკათა კავშირის განსამტკიცებლად, ჩვენი ხალხების ეკონომიკისა და კულტურის განსავითარებლად. ამხანაგ სტალინს ეკუთვნის განსაკუთრებული როლი ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ—ლენინური მოძღვრების შემუშავებაში. მან გაამდიდრა მარქსიზმ—ლენინიზმი ერის თეორიით, განავითარა ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობის შესახებ, იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, შეიმუშავა თეორიული საფუძვლები კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკისა საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში, შექმნა მოძღვრება სოციალისტური ერების შესახებ და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მათი განვითარების შესახებ.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო კაპიტალიზმი, გაათავისუფლა რუსეთის ხალხები, მოსპო ეროვნული ჩაგვრა და ნამდვილად აღორძინა ხალხები. ბურჟუაზიის და მისი ნაციონალისტური პარტიების ლიკვიდაციისა და ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამკვიდრების შემდეგ, ძველი ბურჟუაზიული ერების ბაზაზე წარმოიშვნენ, განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ ახალი სოციალისტური ერები.

ლენინურ—სტალინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად ჩვენს ქვეყანაში აღმოფხვრილია ცარიზმისაგან მემკვიდრეობად დარჩენილი ის ფაქტიური უთანასწორობა, რომელიც არსებობდა ცენტრალური რუსეთის წინწასული ხალხებისა და წარსულში მათგან ჩამორჩენილი განაპირა მხარეების ხალხების სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში. ახლა ჩვენში აღარ არიან ჩამორჩენილი ხალხები. ჩვენს ქვეყანაში ახალმა სოციალისტურმა ერებმა სოციალისტური მშენებლობის წლებში ძირეულად შეიცვალეს სახე და განვითარდნენ მოწინავე თანამედროვე ერებად.

რას შეიცავს ცნება — მოწინავე სოციალისტური ერი?

ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული ერის კლასიკური განსაზღვრის, ახალი სოციალისტური ერების შესახებ მისი მოძღვრებისა და ჩვენი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოწინავე სოციალისტური ერის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია:

ჯერ ერთი, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელშიც არ არიან ექსპლოატატორული კლასები და მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

მეორე, დიდად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

მესამე, მთელი მოსახლეობის მიერ წერა-კითხვის ცოდნა, ბავშვების საყოველთაო სწავლა, უმაღლესი განათლების განვითარებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტთა ეროვნული კადრების მომზადებას მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის; მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავება.

მეოთხე, მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლეხთა შემოსავლის ზრდის უზრუნველყოფის გზით, საქონელბრუნვის განვითარების, ქალაქებისა და მათი კეთილმოწყობის ზრდის, საბინაო პირობების გაუმჯობესების გზით; სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელი, რაც უზრუნველყოფს ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.

მეხუთე, ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიის, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის გამარჯვება.

არის თუ არა მოწინავე სოციალისტური ერის ეს ნიშნები ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში? დიახ, არის.

მივმართოთ ფაქტებს.

ცნობილია, რომ ცარიზმი რუსეთის ხალხების მჩაგვრელი და ჯალათი იყო. მრავალრიცხოვანი არარუსი ერები სრულიად უუფლებონი იყვნენ. მათ არ ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა, მათ მართავდნენ მეფის მოხელეები, ყველა დაწესებულებაში საქმე წარმოებდა რუსულ ენაზე, რომელიც ადგილობრივი ეროვნებებისათვის გაუგებარი იყო.

საბჭოთა წყობილების პირობებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა მიიღო და განავითარა თავისი სახელმწიფოებრიობა. მეფის რუსეთის ეროვნული განაპირა მხარეები კოლონიებიდან და ნახევარკოლონიებიდან გადაიქცნენ საბჭოთა ხელისუფლების დროს ნამდვილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად — საბჭოთა რესპუბლიკებად, რომლებსაც აქვთ თავიანთი ტერიტორია, ეროვნული ავტონომია, თავიანთი კონსტიტუცია, თავიანთი კანონმდებლობა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ეროვნული ოლქების, ოკრუგების, რაიონებისა და სოფლების ხელისუფლების ორგანოებში, სამეურნეო და ადმინისტრაციული მმართველობის ორგანოებში, სასამართლო ორგანოებში ხალხის მიერ არჩეული ადამიანები, რომლებიც იცნობენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებას, ჩვეულებებსა და ფსიქოლოგიას, სახელმწიფო საქმეებს ასრულებენ მშობლიურ, მთელი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე.

ერების ასეთი ნამდვილი თანასწორუფლებიანობა არ არის არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. ეს გასაგებიც არის, რადგან ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია შეუძლებელია კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფო მმართველობის მთელი სისტემა აგებულია რასებისა და ერების უთანასწორობაზე, რასობრივ დისკრიმინაციაზე, ერებს შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებლად ნაციონალისტური ცრურწმენების გამოყენებაზე. ჩვენს დროს რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის განსაკუთრებით დიდი მძვინვარებით გამოირჩევა ორი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები და სამხრეთ აფრიკის კავშირი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ—სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ დონესთან ერთად, უზრუნველყვეს ეკონომიკურად ჩამორჩენილი ეროვნული რესპუბლიკების უფრო სწრაფი განვითარება. ამის შედეგად წარსულიდან მემკვიდრეობად დარჩენილი სამეურნეო და კულტურული უთანასწორობა სსრ კავშირის ხალხთა შორის ლიკვიდირებულია, რაც, უეჭველია, საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების განვითარების წარმატებათა შესახებ შეიძლებოდა ბევრი დამაჯერებელი ცნობის მოყვანა, მაგრამ მე დავჯერდები მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

საბჭოთა რესპუბლიკებში სტალინური ხუთწლედების მანძილზე ახლად შეიქმნა: მეტალურგიული, ნავთობის და ქიმიური მრეწველობა; აშენდა დიდი ელექტროსადგურები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორებისა და ავტომობილების მწარმოებელი ქარხნები, ცემენტის ქარხნები, დიდი საფეიქრო და კვების კომბინატები და ბევრი სხვა სამრეწველო საწარმო.

ეროვნული რესპუბლიკების მრეწველობა, განსაკუთრებით კი მსხვილი მრეწველობა, რომ უფრო სწრაფად განვითარდა, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირის მრეწველობა, ამას გვიჩვენებს აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების — უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის მაგალითი. ამ რესპუბლიკების მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1928 წლიდან 1951 წლამდე 22-ჯერ გაიზარდა, მაშინ როცა მთლიანად სსრ კავშირში ეს პროდუქცია ამავე ხანში 16-ჯერ გაიზარდა.

ცნობილია, რომ ახლო წარსულში მეფის რუსეთის აღმოსავლეთის განაპირა მხარეები მრეწველობის განვითარების დონის მხრივ თითქმის არ განსხვავდებოდნენ თავიანთი ისეთი მეზობლებისაგან, როგორიც არის თურქეთი, ირანი, ავღანეთი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა შუა აზიის რესპუბლიკებმა სამრეწველო განვითარებით სწრაფად გაუსწრეს სსრ კავშირის მოსაზღვრე აღმოსავლეთ ქვეყნებს და დიდად წავიდნენ წინ. თუ ხსენებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შევადარებთ აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებს ინდუსტრიული განვითარების დონის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის ელექტროენერგეტიკა, დავინახავთ, რომ ხუთ საბჭოთა რესპუბლიკაში — უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით 17 მილიონს შეადგენს, მუშავდება სამჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე ერთად აღებულ თურქეთში, ირანში, პაკისტანში, ეგვიპტეში, ერაყში, სირიასა და ავღანეთში, სადაც მოსახლეობა 156 მილიონს შეადგენს **(ტაში)**, ხოლო თუ ელექტროენერგიის გამომუშავების მიხედვით ერთ საბჭოთა რესპუბლიკას, მაგალითად, აზერბაიჯანის რესპუბლიკას, შევადარებთ თურქეთს, აღმოჩნდება, რომ საბჭოთა აზერბაიჯანში, სადაც მოსახლეობა თითქმის შვიდჯერ ნაკლებია, ოთხჯერ მეტი ელექტროენერგია მუშავდება, ვიდრე თურქეთში, რომელმაც თავი გაჰყო ამერიკული „დახმარების“ მარყუჟში. **(დარბაზში გამოცოცხლებაა. სიცილი).**

ჩვენმა საბჭოთა რესპუბლიკებმა თავიანთი განვითარებით ბევრად გაუსწრეს დასავლეთ ევროპის ძველ სამრეწველო ქვეყნებსაც.

მაგალითად, შევადაროთ ერთი საბჭოთა რესპუბლიკა—უკრაინის რესპუბლიკა ევროპის ორ დიდ ბურჟუაზიულ ქვეყანას — საფრანგეთსა და იტალიას. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ყველაფრის შედარება როდი შეიძლება. ცნობილია, რომ უკრაინის სს რესპუბლიკაში ექსპლოატატორული კლასები უკვე დიდი ხანია ლიკვიდირებულია, ფაბრიკა-ქარხნები, მიწა და შრომის ყველა პროდუქტი ხალხის კუთვნილებას შეადგენს, სამუდამოდ მოისპო უმუშევრობა, მთელი ხელისუფლება განუყოფლად ეკუთვნის ხალხს. ამ მხრივ საფრანგეთიცა და იტალიაც, სადაც ხელისუფლებას კაპიტალისტები უდგანან სათავეში, საბჭოთა უკრაინამ შორს ჩამოიტოვა უკან ჯერ კიდევ 30 წელზე მეტი ხნის წინათ. **(დარბაზში გამოცოცხლებაა).** ამიტომ შევადაროთ მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მონაცემი ამ ქვეყნების ეკონომიკის შესახებ.

საბჭოთა უკრაინა, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე უცხოელ დამპყრობთა შემოსევის შემდეგ ორჯერ აღორძინდა ნანგრევებიდან და ფერფლიდან, ახლა ბევრად მეტ თუჯს აღნობს, ვიდრე ერთად აღებული საფრანგეთი და იტალია **(ტაში)**, იძლევა მეტ ფოლადსა და ნაგლინს, ვიდრე საფრანგეთი და სამჯერ და კიდევ უფრო მეტს, ვიდრე იტალია; იღებს ერთნახევარჯერ მეტ ქვანახშირს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად; უშვებს სიმძლავრის მიხედვით თითქმის სამჯერ მეტ ტრაქტორებს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად; მოჰყავს მნიშვნელოვნად მეტი მარცვლეული, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი და ამზადებს მეტ შაქარს, ვიდრე ერთად აღებული საფრანგეთი და იტალია.

სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე უკრაინელი ხალხი შეძლებულად ცხოვრობს და სარგებლობს კულტურის ყველა სიკეთით, რასაც მოკლებული არიან საფრანგეთისა და იტალიის მშრომელი მასები.

არანაკლებ დამახასიათებელია მაგალითი ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფი სამეურნეო განვითარებისა მას შემდეგ, რაც მათ საბჭოთა წყობილება დაიმყარეს. თუ შევადარებთ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკებს ნორვეგიას, ჰოლანდიასა და ბელგიას, აღმოჩნდება, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში მრეწველობის განვითარების ტემპი შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე ევროპის ხსენებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

1952 წლის დამდეგისათვის ლიტვის სს რესპუბლიკამ სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს გადააჭარბა 2,4-ჯერ, ლატვიის რესპუბლიკამ 3,6-ჯერ და ესტონეთისამ—4,1-ჯერ, მაშინ როცა ნორვეგიამ, ჰოლანდიამ და ბელგიამ ამ დროისათვის მხოლოდ ცოტათი გადააჭარბეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების ომამდელ დონეს, თუმცა საბჭოთა რესპუბლიკებს ომიდან მნიშვნელოვნად უფრო დანგრეული მეურნეობა გამოჰყვათ.

ინტერესსმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ძველ კაპიტალისტურ ლატვიაში, მისი მაშინდელი მმართველების შელამაზებული მონაცემებითაც კი, სამრეწველო წარმოება 1913-დან 1939 წლამდე, ესე იგი 26 წლის განმავლობაში, ერთნახევარჯერ გადიდდა, ხოლო ახალ საბჭოთა ლატვიაში 11 წლის მანძილზე — 1940-დან 1951 წლამდე სამრეწველო წარმოება, ომითა და მტრის მიერ ოკუპაციით გამოწვეული ნგრევის მიუხედავად, 3,6-ჯერ გადიდდა.

ასეთივე მნიშვნელოვანი წარმატებებია სოფლის მეურნეობის განვითარების დარგშიც.

სსრ კავშირში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა განუწყვეტელი აღმავლობის გზას. საკოლმეურნეო წყობილება საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, რადგან მან ჩააბა გლეხთა მასები სოციალიზმის მშენებლობაში, აღმოაჩინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარების ახალი, მანამდე არნახული შესაძლებლობანი და შექმნა მილიონობით გლეხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მუდმივი ამაღლების პირობები.

ამის შედეგად ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში ახლა გვაქვს მსხვილი, მაღალსასაქონლო სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც ფართოდ იყენებს აგრონომიული მეცნიერების უახლეს მიღწევებს და რომელიც უკეთ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობა.

ეს შეიძლება დავინახოთ საბჭოთა კავშირის თვითეულ რესპუბლიკაში. მაგრამ მე კვლავ შევეხები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც, როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლებამდე სოფლის მეურნეობა ყველაზე ჩამორჩენილი იყო, სადაც რაიმე თუნდაც უმარტივესი სასოფლო-სამეურნეო მანქანის ხსენებაც არ ყოფილა.

ამჟამად უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მუშაობს 121 ათასი ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, 23 ათასი კომბაინი, 102 ათასი ბამბის სათესი, დასამუშავებელი და საკრეფი მანქანა და ასეულ ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობით აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკები ევროპის უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე მნიშვნელოვნად უფრო მაღლა დგანან. **(ტაში).**

ავიღოთ თუნდაც ტრაქტორებით უზრუნველყოფა. საბჭოთა უზბეკეთში ყოველ ათას ჰექტარ სათეს ფართობზე 14 ტრაქტორი მოდის, მაშინ როცა საფრანგეთში ასეთსავე ფართობზე მოდის გაცილებით უფრო ნაკლები სიმძლავრის 7 ტრაქტორი და იტალიაში—4 ტრაქტორი. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ აღმოსავლეთის უცხო ქვეყნებში ტრაქტორები უმნიშვნელო რაოდენობით არის. თუ უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ერთი ტრაქტორი მოდის 70 ჰექტარ ნათესზე, პაკისტანში ერთი ტრაქტორი მოდის 9 ათას ჰექტარზე, ინდოეთში—13 ათას ჰექტარზე, ირანში—18 ათას ჰექტარ ნათესზე.

დიდი რაოდენობის მანქანებით სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღჭურვამ ძირეულად გააადვილა გლეხთა შრომა, და თანამედროვე აგროტექნიკასა და მორწყვის ფართო განვითარებასთან შეხამებით, უზრუნველყო უხვი მოსავლის მოყვანა.

ავიღოთ, მაგალითად, ბამბა — აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების განვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი ტექნიკური კულტურა. ნედლი ბამბის მოსავლიანობა 1951 წელს ამ რესპუბლიკებში ჰექტარზე საშუალოდ 21 ცენტნერი იყო.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, რომელსაც ბამბა მოჰყავს, არ არის ისეთი მოსავლიანობა, როგორსაც საბჭოთა მებამბეებმა მიაღწიეს. იმავე 1951 წელს ბამბის მოსავლიანობამ ეგვიპტეში შეადგინა ჰექტარზე 11,5 ცენტნერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 8,3; ინდოეთში — 3,4; პაკისტანში — 5,2; თურქეთში — 7,2; ირანში — 4,5 ცენტნერი ჰექტარზე.

საგულისხმოა, რომ ბამბის უხვი მოსავალი აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში მოყვანილია დიდ ფართობებზე, რასაც ის ფაქტი მოწმობს, რომ ხსენებულ საბჭოთა რესპუბლიკებს იმდენივე ბამბა მოჰყავთ, რამდენიც ერთად აღებულ ინდოეთს, ეგვიპტეს, ირანს, თურქეთსა და ავღანეთს. **(ტაში).**

ასეთია სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ფაქტი. ისინი მოწმობენ, რომ ამ რესპუბლიკების ეკონომიკა განუწყვეტლივ იზრდება და ვითარდება, მისთვის უცხოა კრიზისები და დაკნინება. დასასრულ, ეს ფაქტები მოწმობენ, თუ რის მიღწევა შეუძლიათ ხალხებს, რომლებმაც გაწყვიტეს კავშირი იმპერიალიზმთან და განთავისუფლდნენ მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობისაგან. **(ტაში).**

საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკებში განვითარებული სოციალისტური ეკონომიკა რომ შეგვექმნა, საჭირო იყო ბოლო მოგვეღო კულტურული ჩამორჩენილობისათვის, რაც მეტ წილ რესპუბლიკებში არსებობდა, მთელი გაქანებით გაგვეჩაღებინა კულტურული მშენებლობა, შეგვექმნა დაწყებითი და საშუალო სკოლების ფართო ქსელი დედა-ენაზე, ახლად მოგვეწყო უმაღლესი განათლების სისტემა და დიდი მასშტაბით მოგვეგვარებინა მკვიდრ ეროვნებათა კვალიფიციური მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების, მასწავლებლებისა და ექიმების მომზადება.

ლენინურ—სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირის ხალხებმა ნამდვილი კულტურული რევოლუცია განახორციელეს.

ამჟამად საბჭოთა რესპუბლიკების მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე მუშაობს 2 მილიონზე მეტი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი; სოფლის მეურნეობაში მუშაობს 400 ათასამდე აგრონომი, ზოოტექნიკოსი, მეტყევე და სხვა სპეციალისტი; თითქმის 2 მილიონი მასწავლებელი მუშაობს სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; თითქმის 300 ათასი ექიმი და 900 ათასი ფერშალი, მედიცინის და სხვა საშუალო სამედიცინო პერსონალი მუშაობს ქალაქებისა და სოფელ ადგილების სამკურნალო დაწესებულებებში. ახლა თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკას ათეულ ათასობით ჰყავს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები.

მკვიდრი ეროვნებების საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მოსამზადებლად საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილია უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ფართო ქსელი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის ჩვენს ქვეყანაში არსებობდა 96 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც, მცირე გამონაკლისს გარდა, რუსეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში იყო. ამ სასწავლებლებში სწავლობდა 117 ათასი კაცი.

ამჟამად სსრ კავშირში არის 887 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 1.400.000 კაცი. უკრაინაში სწავლობს 216.000 სტუდენტი, შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში—104 ათასი, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში — 80 ათასი, ბელორუსიაში—35 ათასი, ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებში — 37 ათასი სტუდენტი.

უმაღლესი განათლების განვითარების დონის მიხედვით საბჭოთა რესპუბლიკებმა ბევრად გაუსწრეს არა მარტო აღმოსავლეთის უცხო ქვეყნებს, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც.

მაგალითად, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 58 კაცი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში—60, ყირგიზეთის—64, უზბეკეთის—71, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში—93 კაცი. ეს მაშინ, როცა ირანში მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 3 კაცი, ინდოეთში—9, ეგვიპტესა და თურქეთში—12, შვეციაში — 21, იტალიაში—32, დანიაში—34, საფრანგეთში—36 კაცი.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში 48 ეროვნებამ შექმნა საკუთარი დამწერლობა და დედაენაზე ბეჭდავს სახელმძღვანელოებს, წიგნებს, გაზეთებს. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში აშენდა 90 ათასამდე კეთილმოწყობილი სკოლა, აქედან თითქმის ორი მესამედი — ეროვნულ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

სოციალისტური ეკონომიკის ზრდასთან ერთად წლითიწლობით სულ უფრო მაღლდება საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და ბევრად გადიდდა გლეხთა შემოსავალი. 1940 წლიდან 1951 წლამდე მუშა-მოსამსახურეთა შემოსავლისა და გლეხთა შემოსავლის საერთო თანხა 78 პროცენტით გადიდდა.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამ მხრივ დამახასიათებელია ის, თუ როგორ არის მოსახლეობა უზრუნველყოფილი საექიმო დახმარებით. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების მიხედვით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უზბეკეთში ერთი ექიმი მოდიოდა მოსახლეობის ყოველ 31 ათას კაცზე. დაახლოებით მოსახლეობის ამდენსავე კაცზე მოდის ახლა ერთი ექიმი პაკისტანში. ამჟამად უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ერთი ექიმი მოდის მოსახლეობის ყოველ 895 კაცზე. უზბეკეთის სს რესპუბლიკა ექიმებით გაცილებით უკეთ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე, მაგალითად, ეგვიპტე, სადაც ერთი ექიმი მოდის მოსახლეობის ყოველ 4.350 კაცზე, და უკეთ, ვიდრე დასავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორიც არის საფრანგეთი, სადაც ერთი ექიმი მოდის ათას კაცზე, ან ჰოლანდია, სადაც ერთი ექიმი მოდის მოსახლეობის ყოველ 1.160 კაცზე.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში ერთი ექიმი მოდის 490 კაცზე. საბჭოთა აზერბაიჯანის მოსახლეობა საექიმო დახმარებით უზრუნველყოფილია ოთხნახევარჯერ უკეთესად, ვიდრე თურქეთის მოსახლეობა, და 23-ჯერ უკეთესად, ვიდრე ირანის მოსახლეობა. რაც შეეხება საქართველოს სს რესპუბლიკას, სადაც ერთი ექიმი მოდის 373 კაცზე, და სომხეთის სს რესპუბლიკას, სადაც ერთი ექიმი მოდის 483 კაცზე, ამ რესპუბლიკების მოსახლეობა საექიმო დახმარებით გაცილებით უკეთ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის მოსახლეობა. მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმთა დიდი რაოდენობით. სურათი რომ სრული იყოს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირში ყველა სახეობის სამედიცინო მომსახურება მოსახლეობას უფასოდ აქვს, ხოლო საუკეთესო სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით ყოველწლიურად სარგებლობს მილიონობით მშრომელი, მაშინ როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში საექიმო დახმარება მოსახლეობას ეძლევა უმთავრესად ფასით, ამასთან მეტად მაღალი ფასით, და ამიტომ ეს დახმარება მიუწვდომელია მშრომელთა ფართო მასებისათვის, ხოლო კურორტებითა და სანატორიუმებით სარგებლობა იქ მუქთახორა ექსპლოატატორების განსაკუთრებულ პრივილეგიას შეადგენს.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში სოციალისტური ერების განვითარებას, ერთა შორის ფაქტიური სამეურნეო და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციას, როგორც გარეშე მტრებისაგან საბჭოთა სახელმწიფოს დაცვის საქმეში, ისე სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ერთა ხანგრძლივ თანამშრომლობას მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში ერთა თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიის, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის დამკვიდრება და სრული გამარჯვება.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობამ მრავალი განსაცდელი გამოიარა. ჰიტლერული კოალიციის წინააღმდეგ ომი ხალხთა მეგობრობის სიმტკიცის ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა ახალი ძალით გამოვლინდა სოციალისტური მეურნეობის აღდგენის პერიოდში იმ ტერიტორიაზე, რომელმაც მტრის ოკუპაცია განიცადა. იმ რესპუბლიკებისა და ოლქების მეურნეობის აღდგენაში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, უაღრესად მხურვალე მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, რადგან ეს მათ მიაჩნდათ თავის საკუთარ საქმედ და საერთო სახელმწიფო გადაუდებელ ამოცანად. სად, რომელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ნახულა, რომ ხალხები ერთმანეთს უწევდნენ ასეთ დახმარებას?

ახლა, როცა სსრ კავშირში ხორციელდება თანდათანობითი გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა თავის განვითარებაში ახალი შინაარსით მდიდრდება. საბჭოთა რესპუბლიკების მიერ მიღწეულმა ეკონომიკისა და კულტურის მაღალმა დონემ შექმნა უმნიშვნელოვანესი საერთო საკავშირო ამოცანების გადაჭრაში მათი კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობანი.

ძალა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას განამტკიცებს, არის რუსი ხალხი, რუსი ერი, როგორც ყველაზე უფრო გამოჩენილი ერი ყველა ერთა შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან. **(მქუხარე ტაში).**

რუსეთის მუშათა კლასმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში მოახდინა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

კამათი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ლ. პ. ბერიას სიტყვა

(დასასრული)

უდიდესი ისტორიული გმირობა — გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი, დედამიწის მეექვსედ ნაწილში მოსპო ბურჟუაზიის ძალაუფლება და დაამსხვრია ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის ბორკილი. ეჭვი არ არის, რომ რუსეთის მუშათა კლასის დაუხმარებლად ჩვენი ქვეყნის ხალხები თავს ვერ დაიცავდნენ თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისაგან და ვერ ააშენებდნენ სოციალიზმს. რაც შეეხება იმ ხალხებს, რომლებსაც წარსულში არ გაუვლიათ კაპიტალისტური განვითარება, ისინი ვერ განახორციელებდნენ მეურნეობის კაპიტალიზმის წინადროინდელი ფორმებიდან სოციალიზმში გადასვლას, რუსეთის მუშათა კლასს რომ არ გაეწია მათთვის ხანგრძლივი და სისტემატური დახმარება.

დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა რუსი ხალხის დამახასიათებელი ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება. რუსმა ხალხმა თავისი გმირობით, მამაცობითა და ვაჟკაცობით ამ ომში დაამსახურა საერთო აღიარება, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა ძალამ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის. **(ხანგრძლივი ტაში).**

რუსი ხალხის მაგალითისამებრ, მასთან ერთად, მის მხარდამხარ თავდადებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. რუს ხალხთან ერთად ისინი იყვნენ ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენი გამარჯვების შემოქმედნი. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს, თუ რა მძლავრი და ურყევი ძალა აქვს საბჭოთა სოციალისტურ მრავალეროვან სახელმწიფოს, რომელიც ემყარება ხალხთა სტალინურ მეგობრობას.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას საფუძვლად უდევს მათი სასიცოცხლო ინტერესების ერთობა. საბჭოთა კავშირის ხალხებს აერთიანებს მათი მისწრაფება და გადაწყვეტილება ყველა და ყოველგვარი მტრისაგან დაიცვან თავიანთი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერი ცხოვრება, რომელიც მათ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოიპოვეს, მათ აერთიანებს საერთო ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კარგად იციან, რომ ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ — რესპუბლიკების კავშირად ურღვევი სტალინური მეგობრობით დარაზმულნი, ისინი უძლეველი არიან და შეუძლიათ წარმატებით აშენონ კომუნიზმი და ყოველგვარი საფრთხისაგან დაიცვან თავიანთი მონაპოვარნი.

ჩვენი პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის სწორად განხორციელებისათვის. ლენინიზმის მტრებთან ბრძოლაში პარტიამ დაიცვა ლენინურ—სტალინური ეროვნული პოლიტიკა და უზრუნველყო დიდმპყრობელური შოვინიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის სრული და საბოლოო განადგურება.

ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის დიდი დამსახურება ის არის, რომ თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით მან უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების ნამდვილი აღორძინება და უმაგალითო აღმავლობა (**ტაში**), ურღვევი ძმური მეგობრობით დარაზმა და წარმართა მათი ღონისძიებანი ერთიანი დიდი მიზნისაკენ — ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

სოციალისტური ერების განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებს, რაც მიღწეულია ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი მაგალითით კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი ხედავს ექსპლოატაციისაგან, სიღატაკისა და უმუშევრობისაგან, ფაშიზმის დამყარების მზარდი საფრთხისაგან თავისი ხსნის გზას.

ჩვენი მაგალითით კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები ხედავენ გზას ჩაგვრიდან და უუფლებობიდან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ერთა შორის შუღლიდან და მტრობიდან — ხალხთა შორის ძმური მეგობრობისაკენ, შიმშილიდან და სიღატაკიდან — შეძლებული ცხოვრებისაკენ, წერა-კითხვის უცოდინარობიდან და კულტურული ჩამორჩენილობიდან — კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავებისაკენ.

ისტორიის მთელი მსვლელობა სულ უფრო და უფრო ადასტურებს ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის სიტყვებს, რომ „...ახლა საქმე იმისაკენ მიდის, რომ იმპერიალიზმის უღიღესი კოლონიურ სახელმწიფოთა მრავალმილიონიანი მასებისათვის სოციალიზმი შეიძლება გახდეს (და უკვე ხდება!) განთავისუფლების დრო“.

თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეებმა, სოციალიზმის იდეებმა შეაღწიეს დამონებული ქვეყნების უაღრესად შორეულ კუთხეებში. თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლმა ხალხებმა იციან, რომ მათს მხარეზეა მშვიდობისა და დემოკრატიის დიდი ბანაკი, რომ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები იცავენ ყველა რასისა და ერის მშვიდობის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ბედნიერი თანასწორუფლებიანობის საქმეს და რომ ამ სახელმწიფოთა თვით არსებობის ფაქტიც კი ლაგმავს რეაქციის შავბნელ ძალებს და ბრძოლას უადვილებს ჩაგრულ ხალხებს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოების მმართველი წრეები მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ თავიანთი უძლურების გამო საქვეყნოდ გაჰყვირიან, მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრული ხალხების ბრძოლა აღმოსავლეთში საბჭოთა პროპაგანდის შედეგიაო.

უხეირო ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს ამაზე ამხანაგმა სტალინმა პასუხი გასცა ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ. ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენ ბრალად გვდებენ, რომ პროპაგანდას ვეწევით აღმოსავლეთში... ჩვენ არ გვესაჭიროება პროპაგანდა აღმოსავლეთში. საკმაოა დამოკიდებული ქვეყნის ან კოლონიის რომელიმე მოქალაქე ჩამოვიდეს საბჭოთა ქვეყანაში და ნახოს, როგორ მართავენ ჩვენში ადამიანები ქვეყანას, საკმაოა ნახოს, თუ შავკანიანები და თეთრკანიანები, რუსები და არარუსები, ყველა ფერის კანისა და ეროვნების ადამიანები როგორ ეწევიან ერთ ჭაპანს და როგორ განაგებენ ერთად დიდი ქვეყნის მართვის საქმეს, რათა დარწმუნდეს, რომ ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ხალხთა ძმობა ფრაზა კი არა, საქმეა. არავითარი ბეჭდვითი თუ სიტყვიერი პროპაგანდა ჩვენ არ გვესაჭიროება, რაკი ჩვენ გვაქვს საქმით ისეთი პროპაგანდის ფაქტი, როგორიც არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“. **(ხანგრძლივი ტაში).**

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან, იყენებენ საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების დიდ გამოცდილებას.

დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის დამყარდა ახალი ტიპის ურთიერთობა, როგორიც კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ამ ურთიერთობის მთავარი თავისებურება ის არის, რომ მისი საფუძველია:

ყველა დიდი და პატარა ხალხის სრული და ნამდვილი თანასწორუფლებიანობა, თვითეული სახელმწიფოს ყველა სუვერენული უფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, წინააღმდეგ ხალხთა მიმართ დიქტატისა და დამონების იმპერიალისტური პოლიტიკისა;

ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემა, ხალხთა შორის ნდობა და მეგობრობა, წინააღმდეგ საიდუმლო შეთანხმებათა, ინტრიგების, აშკარა თუ ფარული მტრობის პოლიტიკისა, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ახორციელებენ;

მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა და ურთიერთ დახმარება, რაც უზრუნველყოფს თვითეული ქვეყნის ეროვნული ინტერესების სრული შესაბამისობით სამეურნეო განვითარების ყველაზე ხელსაყრელ პირობებს, წინააღმდეგ ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისათვის სასტიკი კონკურენციული ბრძოლისა, რომელიც გამეფებულია იმპერიალიზმის ბანაკში;

დემოკრატიულ სახელმწიფოთა საერთო მისწრაფება — უზრუნველყონ მშვიდობა, აღდგინონ და განავითარონ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ყველა ქვეყანას შორის, მიუხედავად მათი ეკონომიკური და სოციალური სისტემებისა, დედამიწის ყველა ქვეყანაში მილიონობით ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, წინააღმდეგ ეკონომიკის მილიტარიზაციის, ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების, მშრომელთა ცხოვრების დონის გაუარესების იმპერიალისტური პოლიტიკისა.

იმპერიალიზმის ბანაკში ერებსა და სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობის დამახასიათებელი თავისებურებაა ამერიკის კაპიტალის ხარბი მისწრაფება მსოფლიო ბატონობისადმი. ამერიკის იმპერიალიზმი, რომელმაც გაუმაძღარ ობობასავით გაადა ქსელი მსოფლიოს ყველა ნაწილში, სასიცოცხლო ძალებს ართმევს მრავალ ხალხსა და სახელმწიფოს, არავითარ საშუალებას არ თაკილობს იმისათვის, რომ დაიმონოს ისინი. ყველაზე გავრცელებული მეთოდია დამონება ეგრეთწოდებული ამერიკის „დახმარების“ სახით. ამასთან ქვეყანა, რომელმაც ამერიკის „დახმარება“ მიიღო, მოკლე ვადაში კარგავს თავის სუვერენულ უფლებასა და დამოუკიდებლობას და ვასალის მდგომარეობაში ვარდება. ასეთ ქვეყანას შეუძლია დიდი-დიდი იმის იმედი ჰქონდეს, რომ არასწორუფლებიანი პარტნიორი იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი არასწორუფლებიანი პარტნიორი დღეს არის დიდი ბრიტანეთი, რომელსაც ოდესღაც „ზღვათა მპყრობელის“ „მსოფლიოს სახელოსნოს“ სახელი ჰქონდა. ამერიკის იმპერიალიზმი დღითიდღე სულ უფრო სწყვეტს ინგლისს ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებს, ყოველგვარი საშუალებით აძევებს მას ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან, ზედიზედ არომევს პოზიციებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკელებმა უბოდიშოდ უარყვეს ინგლისის მთავრობის უმორჩილესი თხოვნა ნება დაერთოთ მისთვის გაეგზავნა თავისი მეთვალყურე, რათა დასწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებას ინგლისის დომინიონებთან—ახალ ზელანდიასა და ავსტრალიასთან — ეგრეთწოდებული წყნარი ოკეანის პაქტის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით ინგლისის კონსერვატიული პრესაც კი ამას წინათ მწარედ ჩიოდა, რომ ინგლისს ისე ეპყრობიან, როგორც ღარიბ ნათესავს **(სიცილი, გამოცოცხლება დარბაზში)**, რომელსაც ჭკუას არიგებენ, აბუჩად იგდებენ ან უგულებელყოფენ. ერთერთმა კონსერვატიულმა გაზეთმა — „დეილი მეილმა“ პირდაპირ განაცხადა: „თუ ჩვენ ხან აქ, ხან იქ დაკარგეთ ჩვენი პოზიციები, დასაკარგავი მალე აღარაფერი გვექნებაო“. **(სიცილი დარბაზში).** არ უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის მმართველ წრეებს არ ესმით ეს, მაგრამ, ისინი ჯერ კიდევ ემორჩილებიან ამერიკის დიქტატს, ცდილობენ რა კარგი გამომეტყველებით დაფარონ თავიანთი უკმაყოფილება. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტი მესვეურნი აგრესიული ომის პლაცდარმად აქცევენ მათ მიერ დამონებულ ქვეყნებს, ხოლო ამ ქვეყნების ახალგაზრდობას საზარბაზნე ხორცის როლს აკუთვნებენ. ამრიგად ქვეყნები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული გახდნენ, სულ უფრო ადგებიან დამღუპველი ომის გზას.

ცდილობს რა იხსნას კაპიტალიზმი ყველგან, სადაც მას საფრთხე მოელის, იბრძვის რა კოლონიური ბატონობისა და ყველაზე რეაქციული რეჟიმების შენარჩუნებისათვის ყველგან, სადაც მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დემოკრატიული რევოლუცია ემუქრება, ამერიკის იმპერიალიზმი გახდა მსოფლიო რეაქციის ბურჯი და ციტადელი. თავიანთ მიდის იგი გერმანული ფაშიზმის გზით, თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ჟანდარმებად და ჩამხშობად აქცევს თავის ჯარებს. სავსებით ბუნებრივია, რომ იმ ქვეყნების ხალხები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული გახდნენ, საერთო ეროვნული მასშტაბით ირაზმებიან, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკის ჩარევას მათ ცხოვრებაში, თავიანთი ქვეყნიდან განდევნონ დაუპატიჟებელი ბატონები, მწვავე სიძულვილით უპასუხებენ მათ ეროვნული პატიოსნებისა და ღირსების შეურაცყოფის გამო.

თავის მხრივ ამერიკელი ხალხი, რომელსაც დღითიდღე უნერგავენ აზრს, რომ, თითქოს, არსებობს საფრთხე გარედან, თანდათან ხვდება, ამ პროპაგანდის მთელ სიცრუეს. მზარდი სამხედრო ხარჯების სიმძიმით შეწუხებული, იგი სულ უფრო მეტად ამჟღავნებს თავის უკმაყოფილებას შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახლანდელი პოლიტიკის გამო.

ამხანაგებო! მთავარი შედეგი, რომლითაც ჩვენი პარტია შეეგება XIX ყრილობას, ის არის, რომ საბჭოთა კავშირმა უმაგალითო ძლიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა. ჩვენ ამას მივაღწიეთ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გზით, რომელმაც ჩვენი ქვეყანა აგრარული ქვეყნიდან მოწინავე სამრეწველო სახელმწიფოდ გადააქცია, კოლექტივიზაციის პოლიტიკის გზით, რომელმაც ჩვენი სოფლის მეურნეობა მსხვილ, მექანიზებულ, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოფლის მეურნეობად გადაქცია, ლენინურ — სტალინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების გზით, რამაც უზრუნველყო სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და მეგობრობა, სტალინური საგარეო პოლიტიკის განუხრელად განხორციელების გზით, რომლის მიზანია ხალხთა მშვიდობის დაცვა.

მაღალ საფეხურზე ავიდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობა და კულტურა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 35 წლის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია ისეთ სამრეწველო პროგრესს, რომლის მისაღწევად კაპიტალისტურ ქვეყნებს საუკუნეები დასჭირდებოდათ. თუ სსრ კავშირმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში 39-ჯერ გაადიდა თავისი სამრეწველო წარმოება, ინგლისს იმისათვის, რომ ამდენჯერვე გაედიდებინა სამრეწველო წარმოება, დასჭირდა 162 წელი (1790 წლიდან 1951 წლამდე), ხოლო საფრანგეთმა უკანასკნელი 90 წლის განმავლობაში თავისი სამრეწველო წარმოება მხოლოდ 5,5-ჯერ გაადიდა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში მათ სამრეწველო პროდუქციის წარმოება მხოლოდ 2,6-ჯერ გაადიდეს.

თავის წარმატებებს სოციალისტურმა სახელმწიფომ მიაღწია ისტორიულად მოკლე ვადაში იმიტომ, რომ საბჭოთა წყობილებამ უმაგალითო შესაძლებლობანი შექმნა სსრ კავშირის სწრაფი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, იმიტომ, რომ ჩვენი ხალხის ბრძოლას სოციალიზმისათვის ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, რომელმაც იცის, საითკენ წარმართოს საქმე და არ ეშინია სიძნელეებისა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების გზა ადვილი როდი იყო. ამ გზაზე როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის ბევრი სიძნელე და დაბრკოლება გადაგვეღობა, მაგრამ ჩვენი პარტია მუდამ მზად, მუდამ მობილიზებული იყო და წარმატებით ძლევდა მათ. ახლა, როცა ჩვენს წინაშე დასახულია კომუნისტური მშენებლობის დიდი და რთული ამოცანები, ჩვენი პარტია, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი პარტია, მოვალეა გაითვალისწინოს სიძნელეები და მუდამ მზად იყოს, რათა მიჰყავდეს ხალხი მათ გადასალახავად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი ჩვენი პარტია კვლავაც მუდამ თავისი დიდი ამოცანების სიმაღლეზე იქნება. **(ტაში).**

დიდ ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი აშენებდა და განამტკიცებდა ჩვენს პარტიას, კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშზე მიჰყავდა რუსეთის მუშათა კლასი 1917 წლის ოქტომბერში, ქმნიდა მსოფლიოში პირველ საბჭოთა სახელმწიფოს. დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ, მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამხანაგი სტალინი წინ მიუძღვის და ახალი კომუნისტური ცხოვრების მშენებლობის გზას უკაფავს ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს. ამ გზის ყოველ ახალ ეტაპზე ამხანაგი სტალინი თეორიულად აიარაღებს ჩვენს პარტიას, ასწავლის მას განჭვრიტოს მოვლენათა შემდგომი მსვლელობა და წარმართავს მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად.

პარტიის იდეურ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა ამხანაგ სტალინის მიერ მარქსისტულ—ლენინური თეორიის შემდგომი განვითარება ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ამ ნაშრომში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ისინი ახალ თავს იწყებენ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების განვითარებაში და განუყრელად დაკავშირებული არიან სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის მთავარ ამოცანებთან. ცნობილია, რომ მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადააქციეს. განავითარა რა მარქსიზმი, დიდმა ლენინმა შექმნა მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ და ჩვენს ქვეყანაში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების გზების შესახებ. ახორციელებს რა ამ მოძღვრებას, პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია: კაცობრიობის საუკეთესო მაზროვნეთა ოცნება — სოციალიზმი სინამდვილედ იქცა. საბჭოთა ხალხმა აშენა სოციალიზმი და ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ამ პირობებში ჩვენი პარტიის წინაშე წამოიჭრა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ახალი საკითხები. რა წინასწარი პირობების შექმნაა საჭირო, რომ განვახორციელოთ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა? რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? როგორია ამ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდის ძირითადი კანონზომიერებანი? და ჩვენ ვხედავთ, რომ ამხანაგმა სტალინმა ჩვენი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყველა ამ საარსებო, სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხზე მოგვცა მკაფიო და ნათელი პასუხი, რომელმაც პარტიას და საბჭოთა ხალხს გაუნათა მომავალი გზა.

ეჭვი არ არის, რომ ამხანაგ სტალინის მითითებებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის განხორციელების პირობებისა და გზების შესახებ ჩვენი ყრილობა და მთელი ჩვენი პარტია მიიღებენ, როგორც კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის პროგრამას. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამ სტალინურ პროგრამას ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ. იგი ფრთას შეასხამს საბჭოთა ადამიანების საუკეთესო ოცნებებს და აღაფრთოვანებს მათ ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის ლენინისა და სტალინის დიადი იდეების გასამარჯვებლად. **(ტაში).**

ჩვენი ძლევამოსილი სვლა კომუნიზმისაკენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა შთაგონების დაუშრეტელი წყარო იქნება მათს რევოლუციურ ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

XIX ყრილობის ამ ისტორიულ დღეებში თავისი ერთიანობით ძლიერი საბჭოთა ხალხი ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მჭიდროდ დარაზმულია მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო და მზად არის ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის თავისი სამშობლოს სადიდებლად. **(ტაში).**

ჩვენი ქვეყნის ხალხებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანას მიიყვანს სანუკვარ მიზნამდე — კომუნიზმამდე. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება

ამხ. პ. გ. მოსკალენკოვის მოხსენება

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ყრილობას მოხსენდა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა და ჩვენი ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების გზების შესახებ.

მე დავალებული მაქვს მოვახსენო ყრილობას იმ მუშაობის შესახებ, რაც გასწია ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ, რომელმაც საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების თანახმად სისტემატურად უნდა შეამოწმოს პარტიის ფინანსური მეურნეობის მდგომარეობა, აპარატის მოწესრიგებულობა, აგრეთვე ჩვენი პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში დოკუმენტების, წერილების, განცხადებების, საჩივრების გავლისა და განხილვის სისწრაფე, სისწორე.

I.

საანგარიშო პერიოდში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პარტიულ ორგანიზაციებში ფინანსური დისციპლინისა და ანგარიშგების შემდგომი გაუმჯობესება, განხორციელებულია სრული ცენტრალიზაცია პარტიული ბიუჯეტისა, რომელიც მოიცავს პარტიული ორგანოების, მათ შორის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელ სახსრებს; მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა.

პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის ზრდასთან, პარტიული ორგანოების ქსელის გადიდებასა და მათი საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადიდდა საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობის მოცულობაც.

პარტიის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი 1951 წელს 1939 წელთან შედარებით გაიზარდა 2,6-ჯერ. ისე როგორც წინათ, ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შედგება, უმთავრესად, საწევრო შესატანებისა და პარტიული ორგანოების გამომცემლობათა პროდუქციის რეალიზაციის შემოსავლისაგან, ამასთან საწევრო შესატანების სახით ფულადი სახსრების შემოსავალი ბევრად სჭარბობს ბიუჯეტის შემოსავლის სხვა მუხლებს.

საწევრო შესატანების საერთო ფულადი თანხის გადიდება იყო პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვანი გადიდებისა და ჩვენს ქვეყანაში ხელფასის ზრდის შედეგი. როგორც ცნობილია, საწევრო შესატანების დროზე გადახდა პარტიის წესდების ერთ-ერთი მოთხოვნაა, პარტიული დისციპლინის, პარტიასთან კომუნისტების ორგანიზაციული კავშირის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არაერთგზის მიუქცევია ადგილობრივი პარტიული ორგანოებისა და პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების სარევიზიო კომისიების ყურადღება იმისათვის, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მუშაობა საწევრო შესატანების მიღებისა და აღრიცხვისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში „პარტორგანიზაციებში საბიუჯეტო დისციპლინისა და ფინანსური კონტროლის გაძლიერების შესახებ“ დაავალა პარტიულ კომიტეტებს ყოველ კვარტალში განიხილონ საწევრო შესატანების შემოსვლის, მათს შესახებ ანგარიშგებისა და ამ საქმეში სარევიზიო კომისიების მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილმა წესმა, რომელიც პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ავალებს პირადად მიიღონ საწევრო შესატანები, უზრუნველყო ამ მუშაობის სერიოზული გაუმჯობესება. ცენტრალურ სარევიზიო კომისიას მოეპოვება ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ პარტიის წევრთა და კანდიდატთა დიდი უმრავლესობა, საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების შესაბამისად, დროზე იხდის საწევრო შესატანებს. საწევრო შესატანების გადახდის მსვლელობისადმი დაწესებულია სათანადო კონტროლი. ადგილობრივი პარტიული ორგანოები სისტემატურად მოახსენებენ ცენტრალურ კომიტეტს საწევრო შესატანების შემოსვლას და პარტიის წევრებისა და კანდიდატების მიერ მათი გადახდის წესს. საწევრო შესატანების შემოსვლის შესახებ ანგარიშებს განიხილავენ პარტიული კომიტეტები, რომლებიც იღებენ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მაგრამ არიან კიდევ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თვალყურს არ ადევნებენ პარტიის წევრებისა და კანდიდატების მიერ საწევრო შესატანების დროზე შეტანას, უყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ ცალკეული კომუნისტები აგვიანებენ შესატანების გადახდას, არ განმარტავენ პარტიულ სალაროში საწევრო შესატანების წესიერად შეტანის მნიშვნელობას.

პარტიული ორგანოების ამოცანა ის არის, რომ შემდეგში უზრუნველყონ თვითეული კომუნისტის მიერ საწევრო შესატანის დროზე გადახდა, ზუსტად დაიცვან საწევრო შესატანების მიღებისა და მათს შესახებ ანგარიშგების დადგენილი წესი, სათანადო ყურადღება მიაქციონ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ამ უბანს.

პარტიის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის მეორე მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს პარტიული ორგანოების გამომცემლობათაგან მიღებული შემოსავალი. 1952 წელს ეს შემოსავალი 1940 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 6-ჯერ და ამჟამად შეადგენს ბიუჯეტის მთელი შემოსავლის ნაწილის 12 პროცენტს.

პარტიული ორგანოების ამოცანა ის არის, რომ მომავალშიც ყველა ღონისძიებით განავითაროონ საგამომცემლო საქმიანობა და გააუმჯობესონ საგამომცემლო ორგანიზაციების მუშაობა.

II.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენების მეორე ნაწილს შეადგენს ანგარიში ბიუჯეტის გასავლის ნაწილის შესახებ, პარტიულ ორგანოებში სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის უზრუნველყოფისა და ფინანსური მეურნეობის დაყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ორი თავისებურება, რომლებიც ბიუჯეტის გასავლის ნაწილს ახასიათებენ. ჯერ ერთი, ბიუჯეტის გასავლის მთავარ მუხლს შეადგენს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საჭიროების დაკმაყოფილება. ამ ასიგნებათა ხვედრითი წონა წლითიწლობით დიდდება. საკმარისია ითქვას, რომ 1952 წელს ადგილობრივი პარტორგანიზაციების საჭიროებისათვის გამოყოფილი სახსრები შეადგენენ პარტიის ბიუჯეტის მთელი გასავლის 91 პროცენტს. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბიუჯეტის დანარჩენი 9 პროცენტიც, რაც პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა ხარჯებს შეადგენს, მნიშვნელოვანწილად ხმარდება საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრების მომზადებას, გადამზადებას. მეორე, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი სახსრები ხმარდება კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდის გაფართოებას. მაგალითად, 1952 წელს ამ მიზნებისათვის გაწეული ხარჯი პარტიის მთელი ბიუჯეტის 20-მდე პროცენტს შეადგენს.

პარტიის ბიუჯეტის სახსრებით ინახება შემდეგი სასწავლებლები: საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან — საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია; უმაღლესი პარტიული სკოლა; საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირ-

(დასასრული მე-4 გვერდზე).

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება

ამხ. პ. გ. მოსკატოვის მოხსენება

(დასასრული)

ველი მდივნების, საოლქო ალმასკომების, სამხარეო ალმასკომებისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების გადასამზადებელი ერთწლიანი კურსები; ლენინური კურსები ორწლიანი სწავლების ვადით; უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელი განყოფილება; ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ერთწლიანი კურსები; პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივანთა გადასამზადებელი ექვსთვიანი კურსები; საოლქო და სამხარეო კომიტეტებთან და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან — ორწლიანი პარტიული სკოლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელი ცხრათვიანი კურსები, ხოლო უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან — რესპუბლიკური სამწლიანი პარტიული სკოლები. ზემოაღნიშნულ სასწავლებლებში სწავლობს საერთოდ 35 ათასზე მეტი კაცი. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მოწყობილ სხვადასხვაგვარ კურსებზე გადამზადებულ იქნა ჩვენი პარტიის 400 ათასზე მეტი პროპაგანდისტი.

პარტიის საფინანსო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად იხარჯება მნიშვნელოვანი სახსრები პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტთა ბიბლიოთეკების ლიტერატურით შესავსებად.

ცენტრალურმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში სერიოზული ღონისძიებანი განახორციელა პარტიული ორგანოების გამომცემლობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად. სტამბების რეკონსტრუქციამ და საჭირო პოლიგრაფიული მოწყობილობის შეძენამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს პარტიულ გამომცემლობებს გაეფართოებინათ თავიანთი მუშაობა, მკვეთრად გაედიდებინათ გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟი. მაგალითისათვის შეიძლება ითქვას, რომ 1939 წელთან შედარებით გაზეთების „პრავდის" და „კომსომოლსკაია პრავდის" ტირაჟები თითქმის ერთიორად გადიდდა. ამავე პერიოდში ერთჯერადი ტირაჟი თვრამეტი ჟურნალისა, რომლებსაც „პრავდის" გამომცემლობა უშვებს, ერთნახევარჯერ გადიდდა.

საანგარიშო პერიოდში დიდი სახსრები ეძლეოდათ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, საოლქო კომიტეტებისა და სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების შენობათა აღდგენის, კაპიტალური რემონტისა და მშენებლობისათვის, აგრეთვე პარტიული სკოლების შენობათა აგებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს პარტიას გაეუმჯობესებინა ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისა და მათი სასწავლებლების შენობებით უზრუნველყოფის მდგომარეობა.

ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ცენტრალურ სარევიზიო კომისიას გამოიტანოს დასკვნა, რომ პარტიის ბიუჯეტის სახსრებს ცენტრალური კომიტეტი ახმარდა ჩვენი პარტიის ადგილობრივი და ცენტრალური ორგანიზაციების უაღრესად არსებითს საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ცნობილია, რომ პარტიის საფინანსო მეურნეობის სწორად წარმოების ძირითად პირობას მუდამ წარმოადგენდა საბიუჯეტო დისციპლინის მტკიცედ დაცვა. საანგარიშო პერიოდში მიღწეულია გაუმჯობესება პარტიული ორგანოების საფინანსო მეურნეობის დაყენებაში. პარტიის საფინანსო მეურნეობის შემდგომი განმტკიცების საქმეს ხელს უწყობდა ამ ხნის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დირექტივები ბიუჯეტის სახსრების სწორად ხარჯვისადმი სასტიკი კონტროლის დაწესების შესახებ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაავალა მიიღონ საჭირო ღონისძიებანი პარტიის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

შემოღებულია სისტემატური შემოწმება, თუ რამდენად სწორად წარმოებს ადგილობრივი პარტიული ორგანოების საფინანსო მეურნეობა. საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების საკონტროლო-საინსტრუქტორო აპარატის ძალები ყოველწლიურად ამოწმებენ ამ საქმის მოწყობას პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების სულ ცოტა 90 პროცენტში. ამავე მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი სარევიზიო კომისიებიც, რომლებმაც განვლილ პერიოდში არაერთხელ შეამოწმეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, საქალაქო და რაიონული კომიტეტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტს მუშაობენ პარტიულ გამომცემლობათა საფინანსო მეურნეობის საკითხებზე. ამჟამად პარტიულ გამომცემლობათა საწარმოო-საფინანსო გეგმებსა და საფინანსო ანგარიშებს, როგორც წესი, განიხილავენ საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტები. 1951 წელს 35 საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გამომცემლობის საწარმოო-საფინანსო გეგმები და ანგარიშები განხილულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობაში გამომცემლობათა დირექტორებისა და სათანადო საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, ადგილობრივი პარტიული ორგანოების საფინანსო ანგარიშების, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სარევიზიო კომისიების აქტებისა და გამოკვლევის მასალების ანალიზის მიხედვით, შეუძლია მოახსენოს პარტიის XIX ყრილობას, რომ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების უმეტესობა სწორად აწარმოებს პარტიის საფინანსო მეურნეობას და სასტიკად იცავს საბიუჯეტო დისციპლინას.

ამასთან ერთად შემჩნეულია ისეთი ფაქტებიც, როცა ცალკეული ადგილობრივი პარტიული ორგანოები უშვებენ სახსრების გადახარჯვას, თვითნებურად გადააქვთ სახსრები ხარჯთაღრიცხვის ერთი მუხლიდან მეორეში, არ უზრუნველყოფენ საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო ანგარიშგების ჯეროვნად მოწყობას, ზოგიერთი სარევიზიო კომისია სუსტად ასრულებს თავის მოვალეობას, იშვიათად ამოწმებს პარტიული ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, სუსტად უწევს კონტროლს ხარჯთაღრიცხვის ცალკეული მუხლების მიხედვით წარმოებულ ხარჯებს, რის შედეგადაც არის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საჭიროებისათვის სახსრების გადახარჯვის ფაქტები, ხოლო კადრების მომზადების, პროპაგანდისა და აგიტაციისათვის გაღებული სახსრები ზოგჯერ მთლიანად არ არის ათვისებული.

ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს პარტიული აპარატის შტატების რეგულირების საკითხებს. საანგარიშო პერიოდში არაერთხელ მოხდა პარტიული აპარატის შტატების შემცირება. პარტიული ორგანოების შტატების რეგულირების საკითხებისადმი ცენტრალური კომიტეტის მუდმივმა ყურადღებამ შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო მთლიანად შეგვენარჩუნებინა პარტიული აპარატის შტატები 1939 წლის დონეზე, არამედ რამდენადმე კიდევაც შეგვემცირებინა ისინი, მიუხედავად პარტიის დიდი რიცხობრივი ზრდისა ამ დროის განმავლობაში.

პარტიული ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა განგრძობილ იქნას მუშაობა ბიუჯეტის განმტკიცებისათვის, გადაჭრით შემცირდეს უნაყოფო ხარჯები და მომჭირნეობით იქნას გამოყენებული სახსრები. ადგილობრივი სარევიზიო კომისიები თავის დროზე უნდა უწევდნენ რევიზიას პარტიული ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რევიზიების ხარისხს იმ საკითხებში, რომლებიც მათს საქმიანობაში შედის, და სისტემატურ კონტროლს უწევდნენ შემოწმების შედეგთა მიხედვით მიცემულ თავიანთ წინადადებათა დროზე შესრულებას. ჩვენი მოვალეობაა მომავალშიც გამოვიჩინოთ მომჭირნეობა სახსრების ხარჯვაში, დავიცვათ უაღრესად მტკიცე საფინანსო დისციპლინა, სანიმუშოდ ვაწარმოოთ პარტიის საფინანსო მეურნეობა, განუხრელად ვიხელმძღვანელოთ ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის მითითებით. (ტაში).

III.

შეამოწმა რა პარტიული აპარატის მუშაობა საქმეთა გავლის სისწრაფისა და სისწორის მხრივ, ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ გამოარკვია, რომ საანგარიშო პერიოდში სწარმოებდა პარტიული აპარატის შემდგომი განმტკიცება, პარტიული კადრების პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლება, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება.

პარტიული ორგანოების დიდმნიშვნელოვანი ფუნქციაა პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის აღრიცხვა, პარტიული მეურნეობის დაყენება და გაძღოლა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი XVIII ყრილობის შემდეგ განაგრძობდა ამ მუშაობის გაუმჯობესებასა და სრულყოფას. შემუშავებულ იქნა ახალი ინსტრუქციები „საკავშირო კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატების აღრიცხვის შესახებ" და „1936 წლის ნიმუშის პარტიული ბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების აღრიცხვისა და გაცემის წესის შესახებ". ამ ინსტრუქციებით რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობის აღრიცხვის სწორი მოწყობისათვის, პარტიული დოკუმენტების შენახვისა და პარტიული ბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების გაცემისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირადად პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნებს.

ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად ამოწმებდა და დახმარებას უწევდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული მეურნეობის დაყენების, პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების აღრიცხვის, პარტიული დოკუმენტების აღრიცხვისა და გაცემის გაუმჯობესებაში. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკითხებზე ადგილობრივ შეამოწმა პარტიის 63 საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. შემოწმების მასალებს იხილავდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მათ შესახებ იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ომიანობის დროის პირობებში და ომისშემდგომ პერიოდში ხშირად ხდებოდა პარტიის წევრებისა და კანდიდატების გადასვლა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში, რაც არ შეიძლება არ დაჩნეოდა კომუნისტების აღრიცხვის მდგომარეობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწიეს პარტიის წევრებისა და კანდიდატების აღრიცხვასა და პარტიულ მეურნეობაში წესრიგის დასამყარებლად. პარტიის რაიკომებმა, საქალაქო კომიტეტებმა და პოლიტორგანოებმა შეადარეს ერთმანეთს აღრიცხვის დოკუმენტები და პარტიის წევრებისა და კანდიდატების ნამდვილი შემადგენლობა, სააღრიცხვო ბარათებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებანი, რაც კომუნისტების სააღრიცხვო მონაცემებში მოხდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ყურადღება საკავშირო კ. პ. (ბ) წევრებისა და წევრობის კანდიდატების აღრიცხვის საკითხებისადმი, პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობისა და მოძრაობის შესახებ ანგარიშები, რაც რეგულარულად ეგზავნება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ერთიანი ფორმებით, უზრუნველყოფს პარტიისათვის იმას, რომ მისი რიგების რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობის საკითხი სავსებით ნათელი იყოს. ამ ანგარიშებს განიხილავენ და ამტკიცებენ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ბიუროებზე.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ზოგიერთ საქალაქო კომიტეტს, რაიკომს დროზე არ აჰყავს კომუნისტები პარტიულ აღრიცხვაზე, აყოვნებს სააღრიცხვო ბარათების გაგზავნას პარტიის წევრთა და კანდიდატთა ახალ სამუშაო ადგილზე, პარტიულ აღრიცხვაზე აჰყავს ჩამოსული კომუნისტები მოსახსნელი ტალონების წარუდგენლად. პარტიის მთელი რიგი საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები პირადად არ ესაუბრებიან მათთან მისულ კომუნისტებს, ერთმანეთს არ ადარებენ მათს პარტიულ დოკუმენტებსა და სააღრიცხვო ბარათებს, ურიგდებიან იმას, რომ პარტიულ აღრიცხვაზე მიღება და მოხსნა დაუსწრებლად ხდება. ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში თავის დროზე არ აძლევენ პარტიულ დოკუმენტებს პარტიის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. ზოგიერთი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ არ ეწევა სათანადო ბრძოლას პარტიული დოკუმენტებისადმი კომუნისტების დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ, რის შედეგადაც არის პარტიული ბილეთების და საკანდიდატო ბარათების დაკარგვის შემთხვევები.

ასეთი ნაკლი შეუწყნარებელია პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. უნდა გვახსოვდეს, რომ კარგად დაყენებულმა აღრიცხვამ, პარტიული დოკუმენტების გაცემისა და შენახვის დადგენილი წესის უაღრესად ზუსტად დაცვამ, პასუხისმგებლობის გაძლიერებამ, ამ საქმეში პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა სიფხიზლის გაძლიერებამ უნდა დაიცვას პარტია მის რიგებში შემთხვევითი და მტრული ელემენტების შეპარვისაგან.

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის მდივნების სახელზე მოდის მუშების, კოლმეურნეების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერების, მასწავლებლების, ექიმების, საბჭოთა არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცების, შრომისა და ომის ინვალიდების, სხვადასხვა სასწავლებელთა მოსწავლეების მრავალრიცხოვანი წერილი სულ სხვადასხვა საკითხზე, რომელთაც ხშირად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გამსჭვალული არიან სურვილით დაეხმარონ ჩვენს პარტიასა და სახელმწიფოს ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებაში, აღკვეთონ პარტიული და სახელმწიფო აპარატის, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ცალკეული რგოლების მუშაობაში არსებულ დამახინჯებათა ფაქტები, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიმართავენ, რადგან იციან, რომ მათს თხოვნასა და წინადადებებს აქ ყურადღებით განიხილავენ.

ცენტრალური სარევიზიო კომისია მოახსენებს ყრილობას, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მიღებულ ყველა წერილს გულმოდგინედ განიხილავენ ცენტრალური კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები. ბევრი წერილისა და განცხადების ადგილობრივ შესამოწმებლად მიემგზავრებიან ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. ზოგიერთი განცხადება და წერილი განხილვის საგანი გახდა ცენტრალურ კომიტეტში. გარდა ამისა, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში განხორციელდა ღონისძიებანი, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს წერილების გავლისა და მათი განხილვისადმი კონტროლის გაძლიერება, აგრეთვე ყველა კორესპონდენციის აღრიცხვის გაუმჯობესება, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად გაიცეს ყოველი ცნობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიღებული დოკუმენტების შესახებ. მშრომელთა წერილებთან, განცხადებებთან და საჩივრებთან დაკავშირებით დიდი მუშაობა სრულდება ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ადგილობრივი პარტიული ორგანო სათანადოდ როდი განიხილავს მიღებულ წერილებსა და საჩივრებს. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, რომ მიღებულ წერილებს გზავნიან ამა თუ იმ ორგანიზაციაში და მათს შესრულებას კი აღარ უწევენ კონტროლს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აღმოფხვრან მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, იხელმძღვანელონ ჩვენი პარტიის, ამხანაგ სტალინის არაერთი მითითებით, რომ საჭიროა ყურადღებით იქნას განხილული წერილები მშრომელებისა, წერილები პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატებისა, რომლებსაც უფლება აქვთ ყოველგვარი შეკითხვითა და განცხადებით მიმართონ ყოველ პარტიულ ინსტანციას, თვით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ამხანაგებო! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია ახალი მსოფლიო-ისტორიული ამოცანები, ლენინ—სტალინის დიადი იდეების შემდგომი განხორციელების ამოცანები.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს პარტიას საბჭოთა ხალხი ფართო და სწორი გზით მიჰყავს კომუნიზმისაკენ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით აღნიშნავენ საქართველოს მშრომელები პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დღეებს

ორთაჭალჰესის მშენებელთა წარმატება

ორთაჭალჰესის მშენებლობაზე უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. მშენებლები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები უდიდესი ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს. ყრილობის მუშაობის დღეებს მშენებელთა კოლექტივი ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნავს.

აგიტატორები მშენებლებს აცნობენ ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებას და პარტიის XIX ყრილობის სხვა მასალებს. ყველა მშენებელი დადგა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე და დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას.

ჯერ კიდევ ყრილობისათვის მზადების დღეებში ორთაჭალჰესის მშენებლებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს ყრილობის გახსნის დღისათვის — 5 ოქტომბრისათვის ვადამდე შეესრულებინათ 10 თვის გეგმა, ხოლო ნოემბრის ნაცვლად ყრილობის მუშაობის დღეებში გადაეგდოთ მტკვარი თავის ძველ კალაპოტში.

ყრილობის მასალების გაცნობამ კიდევ უფრო გააძლიერა მშენებელთა შრომითი ენთუზიაზმი და თავდადება. ამ დღეებში წარმატებით მუშაობს მთელი კოლექტივი პარტიის XIX ისტორიული ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. 10 თვის გეგმა მშენებლებმა ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეასრულეს. გუშინ მათ კიდევ ერთი დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს: მტკვარს ზღუდარი გაუხსნეს და მდინარე ძველ კალაპოტში გაუშვეს.

მშენებლებმა ახალი ძალით გააჩაღეს პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და პატრიოტული აღფრთოვანებით შეუდგნენ მეორე რიგის სამუშაოთა შესრულებას.

ხვალ უკეთესად ვიმუშავებთ, ვიდრე დღეს

გორი. (ტელეფონით. საკ. კორ.). ქალაქ გორის მშრომელები უდიდესი ინტერესით ადევნებენ თვალს ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის მუშაობას. მეკონსერვეები, ფეიქრები, ახალი გორის მშენებლები, ინტელიგენცია ყურადღებით ეცნობიან ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებას, საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვას და ყრილობის სხვა მასალებს.

—პარტიის XIX ყრილობა უდიდესი მოვლენაა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში,—განაცხადა გორის საკონსერვო ქარხნის ხილ-ბოსტნეულის სახმობი საამქროს უფროსმა ინჟინერმა დიმიტრი სურამელაშვილმა. ყრილობა შეაჯამებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული გრანდიოზული მუშაობის შედეგებს და დასახავს კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის სტალინურ პროგრამას. ყრილობის გახსნას ჩვენი საამქროს კოლექტივი კარგი მაჩვენებლებით შეხვდა — სექტემბრის გეგმა 150 პროცენტით შესრულდა. ყრილობის აღსანიშნავად საამქრო კვლავ განაგრძობს სტახანოვურ ვახტზე დგომას და იბრძვის, რათა ოქტომბრის გეგმა 40 პროცენტის გადამეტებით შეასრულოს და გამოუშვას მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ქარხნის საამქროებსა და ბრიგადებში გაძლიერდა მუშაობის ტემპი. თვითეული მეკონსერვე ისწრაფვის დღეს გააკეთოს მეტი, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ მეტი, ვიდრე დღეს.

მეშახტეების თავდადებული შრომა

ტყიბული. (საკ. კორ.). პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დღეებს ტყიბულის მოწინავე შახტები, უბნები და ბრიგადები მორიგი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნავენ.

მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივი 5 ოქტომბერს ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგა, დავალების გადამეტებით რამდენიმე ათეული ტონა ქვანახშირი ამოიღო და გეგმას 22,2 პროცენტით გადააჭარბა. განსაკუთრებით კარგად იმუშავა პირველმა საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც აკაკი ბარაბაძე ხელმძღვანელობს. ახლა განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა შახტის საპროექტო სიმძლავრის ათვისებას. ამ მიზნით გაჰყავთ ახალი სამთო გამონამუშევრები. მოსამზადებელი სამუშაოების იმ უბნის მოწინავე კოლექტივმა, რომელსაც იოსებ ბოსიკაშვილი ხელმძღვანელობს, ყრილობის გახსნის დღეს რვა გრძივი მეტრი გათხარა და დავალება სამნახევარჯერ გაანაღდა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

„სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უწყებების" გამომცემლობა
მოსკოვი, პუშკინის მოედანი, 5.

1953 წლისათვის მიიღება ხელმოწერა გაზეთზე

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" იბეჭდება:
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და საინფორმაციო მასალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს, მათი მუდმივი კომისიებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს მუშაობის შესახებ.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები"
გამოდის მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე:
რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, უზბეკურ, ყაზახურ, ქართულ, აზერბაიჯანულ, ლიტვურ, მოლდავურ, ლატვიურ, ყირგიზულ, ტაჯიკურ, სომხურ, თურქმენულ, ესტონურ, ფინურ ენაზე.

გამოწერის დროს აუცილებელია აღინიშნოს, რომელ ენაზე სურს გამომწერს მიიღოს
„უწყებები"
ხელმოწერის ფასი—30 მან. წელიწადში.

ხელმოწერას მიიღებენ:
„სოიუზპეჩატი", ფოსტა და გამომცემლობათა რწმუნებულები.

საქართველოს სარეწტყეკავშირის სისტემაში შემავალი არტელი „გრეხილი ავეჯი" აცხადებს მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ ბრძოლის ქუჩაზე № 59 გახსნილია ავეჯის შემკეთებელი საამქრო, რომელიც აწარმოებს გრეხილი სკამებისა და საკიდების შეკეთებას როგორც საამქროში, ისე ბინაზე.

მოქალაქე სერგო იოსების-ძე მერაბიშვილმა, მცხოვრებმა ჩოდრიშვილის ქ. № 61, აღძრა საქმე საბჭოს ქ. № 189 მცხოვრებ მოქალაქე იულია ვასილის ასულ ნიკიფოროვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

რესპუბლიკური სეროლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის ვალერიან იულონის-ძე იაშვილის გარდაცვალებას.

შვილები ალექსანდრა, ნადია, ეფროსინე, ზინა, ნინო, სამსონ, ძმა მიხა, რძალი ნ. ჭავჭანიძე, სიძეები ლ. ბერაია, გ. ხაბურზანია, შ. გაბუნია, ვ. გრიგოლაია, ი. მაილიანი ოჯახებით იუწყებიან ივლიტა სტეფანეს ასულ ჯღარკავა-ფაჩულიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-X, 8 ს. გამოსვენება 12-X, 3 ს. გოგებაშვილის II შესახვევი № 6.

შვილები ამბროსი, იასონ, იონა, რძლები ოლღა, სონია, ირა შვილებით იუწყებიან რახილ ალფეზის ასულ კობოძე-გუმბერიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-X სოფელ I ობჩაში (მაიაკოვსკის რაიონი).

მეუღლე ოლღა, შვილები დავით, ნინო, ვალერიან, რძალი ნათელა, შვილიშვილები ლიანა, ცისანა, ანზორ, ძმები მელიტონ, ელეფთერ, სოკრატ იუწყებიან დომენტი გრიგოლის-ძე ბუცხრიკიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-X ახალთერჯოლაში.

საქსოფლენერგოს თანამშრომლები იუწყებიან რახილ ალფეზის ასულ კობოძე-გუმბერიძის გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების—3-81-84, პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05393